# ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, კომკავშირის კომიტეტის, პროფ. ორგ. ორგანო

რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1 (უნივერსიტეტის შენობა)

ფასი 20 კაპ.

53 1934 29/XII 53

№ 4 (11) 2 აპრილი 1934 წ. № 4 (11)


## მე-XVII პარტყრილობის მასალების ღრმად შესწავლისათვის

საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-17 პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამხ. სტალინის მოხსენების—ეპოქის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის—დამუშავება—შეთვისება წარმოადგენს ჩვენი პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციების უდიდეს გადაუდებელ ამოცანას. უნივერსიტეტის წინაშე დასმული მნიშვნელოვანი ამოცანები გადაწყდება მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საფუძველზე. აქედან ცხადია [illegible] მე-17 პარტყრილობის მასალების ზერელე ცოდნით. აუცილებელია მათი შემოქმედებით სისტემატიური და ღრმა შესწავლა რომ განვახორციელოთ გავატაროთ ის ჩვენ პარტიულ მუშაობაში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციამ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ცკ) დადგენილების და [illegible] ბიროს წერილის—შემდეგომ—[illegible] პარტსწავლების გაშლის შესახებ, სისტემატიური რეალიზაციისათვის ბრძოლის შედეგად მარქსისტულ ლენინური სწავლების საქმეში [illegible] წარმატებას. მას შემდეგ: პარტიის წევრების და კანდიდატების (418 კაცი) სრული 100%-ით ჩაბმა პარტსწავლებაში. კ. კავშირის სწავლებაში კ. კავშირის 1668 წევრის (ე. ი. კ. წევრების 100%), და უპარტო სტუდენტების 67%. შემდეგ პარტიული სწავლების პროცესის სწორი ორგანიზაცია, სათანადო მეთოდოლოგიური და მეთოდური ხელმძღვანელობა, სწავლების საფუძვლიანი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზუსტი აღრიცხვის დაყენება, სასწავლო დისციპლინის განმტკიცება, წრეების ლიტერატურით მომარაგება, პარტიული კაბინეტის მომსახურება, (საკონსულტაციო ბიუროს მუშაობა, ლიტერატურის გამოფენა, პროპაგანდისტებისათვის [illegible] და სხვა) სემინარების სისტემატიური ჩატარება, პარტ. აქტივის და კომკავშირის აქტივისათვის სპეციალური სემინარების მოწყობა, უპარტო პროფესორ—ლექტორთათვის სპეციალური წრის შექმნა [illegible] **რომლის საფუძველზე მიღწეულ იქნა განსაკუთრებული [illegible] მაღალი ხარისხი.**

მე-17 პარტყრილობის მასალების დამუშავებისათვის [illegible] პარტ-კომკავშირის ორგანიზაცია [illegible] უფრო მაღალ საფეხურზე აყვანით. [illegible] შემდეგი: ამხ. **[illegible]** მოხსენების დამუშავება [illegible] ჩატარებულ იქნა ამავე საკითხზე სამი [illegible] პოლიტ-წრეებში [illegible] სემინარების [illegible] მოწყობა. ერთი მეცადინეობაზე ჩატარებულ იქნა შემოწმება ათვისების ხარისხის გამოსარკვევათ. საქ. კ. პ. (ბ) ცკას 28 თებერვლის დადგენილების მე-17 პარტყრილობის მასალების დამუშავების შესახებ, ტფილისის კომიტეტის და ორჯონიკიძის სახელობის პარტ-რაიკომის მითითებათა საფუძველზე უნივერსიტეტის პარტ-კომკავშირის ორგანიზაციების მიერ შედგენილ იქნა წრეების კონკრეტული სამუშაო გეგმა. დამტკიცებული გეგმის თანახმად დღემდე ჩატარებულია (გარდა ზევით აღნიშნულ სამი მეცადინეობისა) 9 მეცადინეობა ყველა ტიპის პოლიტ-წრეებში. ჩატარებულია ყველა თემების დამუშავების წინ სპეციალური სემინარები პროპაგანდისტებისათვის. სწავლების უკეთ დაყენების მიზნით კიდევ უფრო გაძლიერდა მუშაობა პარტკაბინეტის ხაზით, სწარმოებს პარტსწავლების დღისათვის სისტემატიურათ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება.

წრეები უზრუნველყოფილია კვალიფიციური პროპაგანდისტებით. დღემდე მარქსისტულ—ლენინური თეორიის დამახინჯებას პარტსწავლების პროცესში გამოვლინება არ ქონია.

წრეების მეცადინეობის ჩაშლას ადგილი არ აქვს. პროპაგანდისტის არ გამოცხადების შემთხვევაში ხდება რეზერვში მყოფ პროპაგანდისტების გამოყენება. უმიზეზოთ გაცდენების წინააღმდეგ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა გარკვეული ეფექტი მოგვცა. თუ მეორე სემესტრის დასაწყისში დასწრება მხოლოდ 89% აღწევდა, დღეს დასწრება 95,5% აღწევს, რაც რა თქმა უნდა კიდევ უნდა იქნეს აწეული. პარტყრილობის მასალების შესწავლა არ განისაზღვრება პარტ წრეებში წარმოებულ მუშაობით. მუშაობა აგრეთვე გადატანილია საერთო საცხოვრებლებში, მოწყობილია სპეციალური კუთხეები მე 6.-7.-8. კორპუსებში, სადაც სწარმოებს სათანადო ცხრილის მიხედვით ჯგუფური მეცადინეობა. კუთხეები უზრუნველყოფილია კვალიფიციური კონსულტანტებით. საცხოვრებელ ოთახებში სწარმოებს მასალის ხმამაღალი კითხვა პირველად წყაროებიდან და სხვა. პარტიული კომიტეტის მიერ თავის სხდომაზე, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენება მე-17 პარტყრილობის მასალების და ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავების მიმდინარეობის შესახებ სახ. უნივერსიტეტში კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვასთან ერთად დაწესებულ იქნა პრემიები საუკეთესო პროპაგანდისტებზე, მსმენელებზე, წრეებზე და პარტორგანიზატორებზე. საუკეთესო მუშაკებისათვის დაწესებულია 2000 მან. პრემია, გარდამავალი დროშა, შორეული ექსკურსია, ლენინის და სტალინის ნაწარმოებები და სხვა.

ამ მიღწევებთან ერთად ჩვენ მუშაობაში კიდევ მოგვეპოება ნაკლოვანებანი, რომლის აღმოფხვრას საჩქაროთ უნდა მივაღწიოთ. ჯერ კიდევ ადგილი აქვს უმიზეზოთ გაცდენას მეცადინეობისას. დასწრება არ არის აყვანილი 100 პროც-მდე. ზოგიერთი პროპაგანდისტი დროზე—წინდაწინ არ აფრთხილებს პარტორგანიზატორს მისი არ გამოცხადების შესახებ, რაც იწვევს წრეში შედარებით ნაკლებ მომზადებული პროპაგანდისტის შეშვებას სამეცადინოთ ან ორი წრის ერთად გაერთიანებას, ორივე უსათუოდ უარყოფით გავლენას ახდენს სწავლების ხარისხის დონეზე. ჯერ კიდევ ადგილი აქვს პროპსემინარის შეუფასებლობას ზოგი პროპაგანდისტის მიერ, რაც გამოხატულებას პოულობს მათ სუსტ დასწრებაში პროპ სემინარზე. ჯერ კიდევ არ არის **ყველა** მსმენელი უზრუნველყოფილი პარტიის ყრილობის **ყველა** მასალებით, პროპაგანდისტების მიერ ადგილი აქვს სწავლების ლექციური მეთოდის გადაფასებას და შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა საუბრებს, სემინარულ და პროსემინარულ მუშაობას და სხვა.

პარტყრილობის მასალების შესწავლაში „კომპანეიშჩინა“ დანაშაულს უდრის. პარტიულმა ორგანიზაციამ მასალები უნდა შეისწავლოს ხანგრძლივი სისტემატური და ენერგიული მუაობის შედეგად. უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შესძლოს ზემოდ დასახელებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. პარტორგანიზატორებმა სისტემატიური კონტროლი უნდა გაუწიონ პარტსწავლების მიმდინარეობას, უნდა აწარმოონ მსმენელების წარმატების შემოწმება, წრეების მუშაობაში დეფექტების აღმოჩენა და მისი იქვე—ადგილზე გასწორება. პროპაგანდისტების მიერ გაძლიერებულ უნდა იქნეს აკადემიური წარმატების მიმდინარე აღრიცხვა. ძირშივე უნდა აღმოიფხვრას პროპსემინარის შეუფასებლობის ელემენტები ცალკე პროპაგანდისტების მიერ. სემინარები ჩატარებულ უნდა იქნეს ავტორეტიული ამხანაგების მიერ და ისეთი მეთოდით, რომ შევძლოთ პროპაგანდისტთა მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მე-17 პრტყრილობის მასალების დამუშავება უნდა სწარმოებდეს საქართველოს კ. პარტიის მე-9 ყრილობას და ა/კ. პარტორგანიზაციების მე-7 ყრილობის მასალე ბის თან ჩართვით. პარტიული სწავლება უფრო მეტათ უნდა დაუკავშიროთ ჩვენი სასწავლო საწარმო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საკითხებს. მე-17 პარტყრილოპის მასალების დამუშავება გვაძლევს და კიდევ მეტიც უნდა მოგვცეს შედეგად უფრო მაღალი სასწავლო გეგმების შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებლები. საჭიროა ჯგუფებს შორის ფართოდ გაიშალოს პოლიტომები, აპრილის თვეში უნდა მოხდეს ყველა განვლილი თემების ათვისების მთლიანი შემოწმება. ყველა მსმენელმა უნდა ჩააბაროს გამოცდა მე-17 ყრილობის მასალებისა და განსაკუთრებით ამხ. სტალინის მოხსენების შეთვისების შესახებ. შემოწმებამ აუცილებლათ უნდა მოგვცეს მაღალ მაჩვენებლები.

უნდა მივაღწიოთ იმას რომ **არც ერთი სტუდენტი** არ დარჩეს **მე-17 პარტყრილობის მასალების საფუძვლიანათ შესწავლის გარეშე. უნდა მივაღწიოთ იმას რომ პარტიის წევრებმა და კომკავშირლებმა მიიღოს შემოწმების შედეგად ნიშანი „ფრიადი“.** ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლა აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ **შევსძლოთ პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარება, აქტიური** მონაწილეობის მიღება სრული უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების საქმეში—დიად სამუშაოთა მეორე ხუთწლედის შესრულების საქმეში.

## დაკისრებულ მოვალეობას შესრულება უნდა

ტფ. უნივერსიტეტის მებრძოლ ათეისტთა საბჭომ პარტიული და კომკავშირის კომიტეტის მითითებათა საფუძველზე ტფილისის სხვადასხვა კლუბებთან, დაწესებულებებთან და სკოლებში ანტირელიგიური მუშაობის საწარმოებლად მიამაგრა ასპირანტები და საუკეთესო მომზადებული სტუდენტები.

ლენინის რაიონში ანტირელიგიურ წრეებზე მიმაგრებულია შემდეგი ამხანაგები:

ნ. ტოროშელიძე და კახიძე—პლეხანოვის კლუბი, ვ. გაჩიჩილაძე—მილიცია, შველიძე—მილიცია, მ. ახმეტელი—დისპანსერი, დ. ჩილვინიძე—რკინის—მერვე სკოლა, ან. ვარდუვაძე—პიონერთა 1 სკოლა, გ. აბზიანიძე—რკინიგზის საავადმყოფო, ს. კარსანიძე—მექვსე შრომის სკოლა, დ. ბაბლიძე—რკინიგზის ფოსტა, თ. კაკაურიძე—და ელ. ბალავაძე—რკინიგზის III საბავშო კერა, გ. თალაკვაძე—მუსიკალური ტეხნიკუმი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ამხანაგს ჯერაც არ დაუწყია მუშაობა. არც მეცადინეობის საათებია გამორკვეული და შეთანხმებული. ზოგი ამხანაგი არც კი სცნობს საჭიროდ თავისი მუშაობის შესახებ აცნობოს ლენინის რაიონის „მუკ“—ის საბჭოს და არც ლიტერატურის მიღებაზე ზრუნავს.

ეს ყოვლად დაუშვებელია, ტფ. უნივერსიტეტის სტუდენტა სანიმუშო უნდა იყოს თავისი დისციპლინიანობით, წესიერებით და კეთილსინდისიერებით მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში თითეულ გამოყოფილ ამხანაგს უნდა ახსოვდეს, რომ მის მუშაობას თვალყურს ადევნებს მთელი უნივერსიტეტი და ვინც არ გაამართლებს ნდობას, მას მოეთხოვება სასტიკი საზოგადოებრივი პასუხი. ჩვენ მოველით, რომ ყველა ამხანაგები დაკისრებული მოვალეობის სრული შეგნებით „მუკ“—ის რაიონულ საბჭოს ხელმძღვანელობით პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

ი. ხირხელი

ვ. ცინცაძე

ი. ჯიბლაძე

ი. შარაშენიძე

## განსაკუთრებული მნიშვნელობის „წვრილმანი“

სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა წიგნზე და პროფესორ-ლექტორის მიერ წაკითხულ ცოცხალი ლექციის დაძლევა-შეთვისების ხარისხი მთლიანი პედაგოგიური პროცესის გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს.

როგორც პირველი, აგრეთვე მეორე ჩვევა-უნარის შემუშავება მიღწეული იქნება იმ პირობითი: თუ სტუდენტები სისტემატიურად და წესიერად აწარმოებს წაკითხულის და მოსმენილის არსებით მომენტების წერილობითი ფიქსაციას, რასაც **კონსპექტური მუშაობა** ეწოდება.

როგორი თვალსაზრისით უნდა შევადაროთ კონსპექტის მნიშვნელობა?

სიტყვის ფართო გაგებით კონსპექტი, არსებითად, წაკითხულის და დასამუშავებელი მასალის დამოუკიდებელ, ორგინალურ სისტემატიზაციას და განმარტებას შეიცავს და ამდენად ის მეცნიერული კვლევითი ხასიათის მატარებელია. პრაქტიკული კონსპექტიკი ეს—ერთგვარი სარკეა, სადაც აისახება სტუდენტის აკადემიური და საზოგადოებრივ—პოლიტიკური მრავალფეროვანი მუშაობის ყოველდღიურობა. აქ იგულისხმება: მოსმენილი ლექციების სისტემატიური ჩაწერა, თეზისების, გეგმების, განაკვეთების და სხვ... სისტემაში მოყვანა. ყველა შემთხვევაში კარგად დამუშავებულს და დალაგებულ კონსპექტს სტუდენტის საერთო მუშაობაში შეუძლია შეასრულოს უაღრესად ეფექტური და წამმართველი როლი. კონსპექტზე მუშაობა აჩვევს სტუდენტს წიგნზე დამოუკიდებელ და **მეცნიერულ** მუშაობას, შინაარსიდან არსებითის გამოყოფას, ანვითარებს ერთდროულად მოსმენისა და ჩაწერის შეთვისების უნარს, თვითეულ სტუდენტს აჩვევს პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის ყოველდღიურ მუშაობას—როგორც აკადემიურ, ისე საზოგადოებრივი დატვირთვის ხაზით, ბოლოს რაც მთავარია: **კონსპექტი საუკეთესო საშუალებაა სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობის (ყველა დარგში) რაოდენობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღსარიცხავად, მათი ყოველ მხრივი მოღვაწეობის შესამოწმებლად და საკონტროლოდ.**

მრავალ უმაღლეს სკოლაში და კერძოთ ჩვენში სწავლების და შეთვისების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის ამ ფრიად მნიშვნელოვან იარაღს--კონსპექტს--ჯეროვანი ყურადღება ვერ ექცევა, იგი, ასე ვთქვათ, **„თვითდინებაზეა“** მიშვებული. ლექციების დროს იშვიათად შენიშნავთ, რომ სტუდენტები სწერენ. აღსანიშნავია, რომ ეს „იშვიათად“ ჩანაწერიც ძალზე დაბალი ხარისხისაა: ვინაა პასუხისმგებელი? თავსაც არავინ იტკივებს შეამოწმოს სტუდენტთა ე. წ. „კონსპექტები“, საერთოდ ამ საქმით არავინაა დაინტერესებული. ამით აიხსნება, რომ სტუდენტთა სალექციო რვეულები (ვისაც ასეთი გააჩნია) ავსებულია უხეში შეცდომებით, აურეცხელ კურიოზებით და სხვ.

ასეთ მდგომარეობას დაუყონებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში კონსპექტზე მუშაობამ ამ ბოლო დროს უდიდესი ყურადღება მიიპყრო. კიდევ მეტი: კონსპექტის წარმოება აქ სტუდენტებისათვი „სასურველობიდან“ **სავალდებულოთ** გადაიქცა. ამ მუშაობაში ჩაბმულია საუკეთესო მეცნიერულ—პედაგოგიური ძალები, ადმინისტრაცია და სტუდენტობის ყველა ორგანიზაციები. საუკეთესო პროფესორ—მეთოდისტთა მონაწილეობით სისტემატიურად ეწყობა ლექციების მთელი სერიები წიგნზე დამოკიდებული მუშაობის, ლექციის მოსმენის და ჩაწერის საკითხებზე და სხვ..

ამავე დროს აქ სასტიკ და დაუზოგავ ბრძოლას აწარმოებენ ე. წ. „უკონსპექტოების“ წინააღმდეგ. უხეირო და დაუდევრად შედგენილ კონსპექტების წინააღმდეგ, ერთი სიტყვით სტუდენტთა ორგანიზაციები ულმობელად ებრძვიან ყველა იმათ, ვინც კონსპექტზე მუშაობის ცოტა ოდნავ შეუფასებლობას ამჟღავნებს. სტუდენტთა მუშაობა ამ უბანში მოქცეულია საზოგადოებრივი ოპერტიული კონტროლის ქვეშ: სპეციალურად გამოყოფილ ბრიგადები და რეცენზენტები **ამოწმებენ** თითოეული სტუდენტის კონსპექტს, შემოწმების შედეგები **ქვეყნდება** ადგ. მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთებში, იწერება **რეცენზიები**, ცხადდება **კონკურსი** საუკეთესო კონსპექტზე—სადაც უაღრესი ყურადღება ექცევა როგორც ჩანაწერის **იდეოლოგიურ** მხარეს, ასევე ჩაწერის **ტექნიკურ მხარეს** (სუფთად ჩაწერა, თავებათ დაყოფა, ლექციის შინაარსიდან **არსებითის** ფიქსაციის უნარი და სხვ.). კედლის გაზეთსა, შავსა და სამარცხვინო დაფაზე ხშირად შეხვდებით დაუზოგავათ მხილებულ და გაკიცხულ სტუდენტს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ლექციაზე უკონსპექტოთ გამოცხადდა, ან იმისათვის რომ ესა და ის—კონსპექტს დაუდევრად აწარმოებს და სხვ.

მოკლედ, ასეთია კონსპექტის მნიშვნელობა და მისადმი დამოკიდებულება მოსკოვის თითქმის ყველა სანიმუშო უმაღლეს სკოლებში და საგულისხმოა, რომ ასეთმა მუშაობამ უკვე გამოიღო თვალსაჩინო ნაყოფი.

ჩვენ გვჯერა რომ მოწინავე ქალაქის მოწინავე პედაგოგიური აზრი და გამოცდილება შესაფერ გამოხმაურებას ჰპოებს ჩვენს უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში და ნამდვილ, კონსპექტური მუშაობის მოწესრიგებაში მხურვალეთ ჩაებმება ჩვენი სტუდენტთა ორგანიზაციები და მეცნიერულ—პედაგოგიური ძალები.

ე. ბურჭულაძე

მოსკოვი

## ზოოლოგიის კათედრის მიღწევები და ნაკლი

ჩვენი უნივერსიტეტი უმაღლესი სამეცნიერო და კვალიფიციური სამეცნიერო მუშაკების გამომჭედილი ცენტრია საქართველოში. ეს გარემოება გარკვეულ და საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს უნივერსიტეტის კათედრების წინაშე, რომლებიც წარმოადგენენ კვალიფიციური კადრების მომზადების საქმის ძირითად დასაყრდენს.

როგორია ამ მხრივ ზოოლოგიის კათედრის მუშაობა?

პირველ ყოვლისა, კათედრა ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში და გამოწვეული ჰყავს ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა. კათედრის შიგნით სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ფართოდ არის გაშლილი.

პირველ სემესტრში კათედრა სამეცნიერო—საკვლევ მუშაობას ნაკლებად აწარმოებდა. ამჟამად ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გარდატეხაა მომხდარი, უმცროსი სამეცნიერო თანამშრომლების საშვალებით კათედრა აწარმოებს ტფილისის მიდამოების ტბების ფაუნის გამოკვლევას, შინაურ ცხოველთა ბიოლოგიის შესწავლას და სხვა. კათედრის ხელმძღვანელს პროფ. **გ. ჯავახიშვილს** გადაცემული აქვს დასაბეჭდათ, როგორც სახელმძღვანელო, „ხერხემლიანები“ და „უხერხემლონი“. დაუსწრებელი პედინსტიტუტის ხაზით გამოცემულია ზოოლოგიის კურსი. ამრიგად მომავალი სამოსწავლო წლისათვის სტუდენტები ძირითადად უზრუნველოფილი იქნებიან სახელმძღვანელოებით.

უკანასკნელი კურსის ასპირანტი ეპ. ვასაძე ამზადებს შრომას „შეგუების და ევოლუციის საკითხთა ურთიერთობისათვის“.

თავისი თანამშრომლების საშვალებით კათედრა სისტემატიურად აწყობს კონსულტაციას ჩამორჩენილ სტუდენტთათვის.

საწარმოო პრაქტიკის გეგმა დროზე იქნა შედგენილი და უზრუნველოფილი სათანადო ხელმძღვანელობით.

კათედრა არ ივიწყებს საზოგადოებრივ—მასიურ მუშაობასაც. ატარებს მოხსენებებს სტალინის სახელობის კლუბში, სადაც ასისტ. არ. ჯანაშვილის, ასპ. ე. ვასაძის და თამარ კაკაურიძის მიერ წაკითხულია ხუთი მოხსენება. კათედრის მუშაკები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საშუალო სკოლების პროგრამების დამუშავებაში, გამოსული წიგნების რეცენზირებაში, თერმინოლოგიის შემუშავებაში. მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც უახლოეს დროში უნდა აღმოვფხვრათ.

პირველყოველისა უნდა აღინიშნოს ის, რომ კათედრამ დღემდე ვერ მოახერხა საჯარო სხდომების მოწყობა აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე.

შემდეგ, კათედრის უმცროს თანამშრომელთათვის დღემდე არ ეწყობოდა სემინარები და კონსულტაციები, დღემდე არ გვყავს დახელოვნებულ მიკროსკოპისტების საკმაო შტატი.

და რაც მთავარია—კათედრა დღემდე არ არის უზრუნველყოფილი სალაბარატორიო და სალექციო აუდიტორიით. ერთადაა მოთავსებული ლაბორატორიაც, მუზეუმი და სალექციო ოთახი, რაც ძალზე უშლის ხელს ნორმალურ მუშაობას.

ს. გამცემლიძე

# ალმოვფხვრათ ფუნქციონალობა უნივერსიტეტის ყველა რგოლების მუშაობაში

## ამხ. ს. მინდაძის მოხსენება უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის სხდომაზე

პარტიის ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნა იმასაც ნიშნავს, რომ შევამციროთ კრებების რიცხვი და ხანგრძლიობა, ვილაპარაკოთ აუცილებელზე და კონკრეტულზე,—ასე დაიწყო თავისი მოხსენება უნივერსიტეტის პარტკომიტეტის მდივანმა ამხ. **ს. მინდაძემ** პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრებაზე.

მოხსენება შეხებოდა უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნას.

ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნას სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან იგი წარმოადგენს „იმ ინსტრუმენტის გამახვილებას, რომელიც აუცილებელია მე-17 პარტყრილობის დადგენილებების რეალიზაციისათვის (**კაგანოვიჩი**) პარტიის ორგანიზაციული მუშაობა აყვანილი უნდა იქნას პოლიტიკური მნიშვნელობის დონეზე.

კერძოთ უნივერსიტეტში ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნა ექვემდებარება ორ მთავარ ამოცანას, რომლებიც გამომდინარეობენ საკ. ცაკის 19 სექტემბრის დადგენილებიდან. **პირველია**—სასწავლო გეგმების შესრულება და მტკიცე სასწავლო რეჟიმი—სწავლების ხარისხის ამაღლება და იდეოლოგიურად გამართლებული პროგრამებით უზრუნველყოფა. მეორე—ჩვენი სტუდენტების და პროფ. პედაგ. შემადგენლობის სოც. აღზრდა და გარდაქმნა.

ჩვენი ორგანიზაციული მუშაობაც ისე უნდა გარდავქმნათ, რომ აუცილებლად მივაღწიოთ ამ ორი ამოცანის უეჭველად გადაჭრას.

წარსულ მუშაობაში ჩვენ გვქონდა ფუნქციონალობის მნიშვნელოვანი ელემენტები როგორც პარტიულ აპარატში, ასე ადმინისტრაციის ხაზითაც და სხვა რაც ეხლა უკვე ლიკვიდირებულია. პარტკომსა და უჯრედებს ჰქონდა სხვადასხვა სექტორები, უჯრედის ბიუროები. ადმინისტრაციის ხაზით—მაგალითად, კადრების სექტორი განაგებდა მხოლოდ სტუდენტთა მიღების და სტიპენდიის საქმეებს, სასწავლო ნაწილი—მხოლოდ სწავლების საქმეს. ფაკულტეტები--პროგრამების საქმეს, საწარმოო პრაქტიკისათვის არსებობდა ცალკე სექტორი, ცალკე სექტორად იყო გამოყოფილი აგრეთვე სამეცნიერო—საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელობა. ამით დარღვეული იყო მუშაობის მთლიანობა და კავშირი. ბიბლიოთეკაში გამეფებული ფუნქციონალკის შედეგად ზოგ პირზე 100-ზე მეტი წიგნი მოდის სახლში წაღებული.

ერთი სიტყვით, სამოსწავლო პროცესი მოკლებული იყო ერთ გარკვეულ ხელმძღვანელობას, რაც უსათაოდ გვიშლიდა ხელს გეგმების კიდევ უკეთ შესრულებაში. მზგავსი, ასეთივე მდგომარეობა გვაქვს უნივერსიტეტში სხვა ორგუნიზაციის მხრივაც (ალმასბიურო, ადგილკომი კომკავშირი და სხვ.).

ოგანიზაციული მუშაობის ახალ ეტაპზე ჩვენ მტკიცედ შეუდექით ფუნქციონალობის ძირფესვიანად ალმოფხვრას. უკვე გაუქმებულია კადრების სექტორი, რომლის ფუნქციები გადაეცა სამოსწავლო ნაწილს. გაუქმებულია საკვლევაძიებო ინსტიტუტების სექტორი, სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვაელობა დაეკისრა სათანადო ფაკულტეტებს. ბიბლიოთეკა უშუალოდ ექვემდებარება რექტორს. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკას,მას, როგორც სწავლების განუყოფელ ნაწილს, უნდა ხელმძღვანელობდნენ ფაკულტეტები.

შემდეგ ამხ. მინდაძე ეხება პარტორგანიზატორების სარჩევნო კამპანიას და აღნიშნავს, რომ პარტიული წესდესა დამუშავდა ყველა ფაკულტეტების პარტორგანიზაციების სარჩევნო კრებებზე და პოლიტქსელში. უკვე დამთავრდა პარტორგანიზატორების არჩევნები ახალი წესდების მიხედვით.

პარტორგანიზატორებად შერჩეული არიან გამოცდილი და მუშაობაში უკვე შემოწმებული ამხანაგები. პარტორგანიზატორების მუშაობის შესწავლის და გაცხოველების მიზნით, ტბილისის კომიტეტის დადგენილებით, უნივერსიტეტში ეწყობა უმაღლესი სასწავლებლების პარტორგანიზატორების სამდღიანი კურს-კონფერენცია, რომელმაც უნდა გაამდიდროს პარტორგანიზატორების მუშაობის გამოცდილება და გარკვეული წარმოდგენა მისცეს მათ ახალი სტილით მუშაობაზე.

ამხ. მინდაძის მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხ. **კ. ჭკუახელი, ვ. ვაჭარაძე, კ. ბაბილოძე, ჩაფიძე, კ. აბულაძე, სვანიძე** და სხვა.

მოკამათების უმრავლესობა ეხებოდა ორგანიზაციული მუშაობის ახალ ამოცანებს და ამ მხრივ მუშაობის გარდაქნნის საკითხებს.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. **მინდაძე** შეჩერდა უნივერსიტეტის ნაბეჭდი და კედლის გაზეთების ამოცანებზე და აღნიშნა, რომ მათ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მუშაობის ახალა მეთოდების დანერგვისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით ნაბეჭდ გაზეთს „ბოლშევიკური კადრებუსათვი,“ რომელიც უნივეოსიტეტის საკუთარი სტამბის ამუშავების გამო, უკვე შეგვიძლია გამოუშვათ ყოვეელ ექვსდღიურში.

ამხ. მინდაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეული იქნა პარტიული კომიტეტი 9 წევრისა დმ 2 კანდიდატის შემადგენლობით.

## პარტკომის ახალი შემადგენლობა

უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა პარტკომი შემდეგი შემადგენლობით:

**წევრები:** ლ' ალიაშვილი, ს. მინდაძე, მ. მამალაძე გ. ჯანელიძე, კ. ჭკუასელი, ც. ბართაშვილი, შ. კალანდარიშვილი, კ. ბაბილოძე, ს. ხოდრიშვილი.

**კანდიდატებად:** ა. გასვიანი ც. კაკაბაძე.

## სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

ქ. ანდრიაძე, ვ. მირიანაშვილი და ზ. მიგაძე

## პარტკომიტეტის სხდომა

ამავე დღეს შესდგა პარტიული კომიტეტის სხდომა. პარტიული კომიტეტის მდივნად ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ს. მინდაძე, კულტპროპორგანიზატორად—გ. ჯანელიძე და პასუხისმგებელ მომუშავეთ—მ. მამალაძე

## ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ

სახ. უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის მიხედვით მიმდინარე წლის 1 მაისიდან მე-III-ე კურსის სტუდენტობა მიდის საწარმოო პრაქტიკაზე. სამჯერთა სასკოლო ერთერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ის იძლევა თეორიისა და პრაქტიკის ლენინურ მთლიანობას. ამიტომ პრაქტიკის ჩატარების უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მე-III-ე კურსის სტუდენტების ასეთს ტფ. ფიზიკურ პედინსტიტუტში პირველ კურსზე საწარმოო პრაქტიკის დამახინჯებულად ჩატარება. სტუდენტები გაგზავნილ იქნენ ფაბრიკა-ქარხნებში ისე, რომ თეორიულად წარმოება სრულებით არ იცნობდენ. პრაქტიკა გაგრძელდა პირველ კურსზე, ხოლო საკანი წარმოების საკითხში მე-II კურსზე წაგვეკითხა.

არც ამაზე არის მოკლებული ნაკლს საწარმოო პრაქტიკის სამე. ისტ-ლიტერატურული ფაკულტეტის ქართული სექციის III კურსი ისე მიდის პრაქტიკაზე, რომ მას არ მოუმზადა ლიტერატურის და სინტაქსის მეთოდიკა. ამ დისციპლინების გავლა კი საჭირო იყო პრაქტიკაზე წასვლამდე.

ზ. ჯანტურია

## გაცდენა დაგვიანება ალმოვფხვრათ ძირ-ფესვიანად

სასწავლო ნაწილში შესდგა ჯგუფების საშკურხოების თათბირი, რომლებსაც სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ჭ. ჭკუაძემ გააცნო გაცდენა-დაგვიანების აღრიცხვის ახალი ფორმა. აღრიცხვის ეს ფორმა დამყარდა ყველა ჯგუფში და დაყვანილია თითეულ სტუდენტამდე. შემოღებამ ამ ფორმის, რომელიც არავითარ შესაძლებლობას არ ტოვებს ყალბი „საპატიო მიზეზების“ გამოყენებისათვის, უკვე გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგი. სასწავლო დისციპლინას დაეტყო აშკარა გაუმჯობესება.

აღრიცხვის ამ ახალი ფორმის შემოღებას აქვს კიდევ მეორე დადებითი მხარე—ჯგუფხელი განეტერთა აღრიცხვის მოვალეობიდან.

საერთოდ გაცდენა-დაგვიანების ახალი ფორმის შემოღების შედეგი ნათლად სჩანს თუდლე 74 და 75 ჯგუფში მაგალითად. წინათ საპატიო არასაპატიო მიზეზით გაცდენა-დაგვიანება ხუთდღიურში უდრიდა 34 საათს, ახლა ეს ციფრი დაყვანილია 9 საათამდე.

საჭიროა მუშაობის გაშლა აღრიცხვის ახალი წესის ფართოდ გასაცნობათ სტუდენტობისათვის.

უმიზეზოთ გაცდენა-დაგვიანება უნდა ალმოვფხვრათ ძირ-ფესვიანად.

ი. ოქუჯავა

## ბოტანიკის კათედრის გამოცდილება სხვა კათედრებს

უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრამ ნამდვილად გარდაქმნა თავისი მუშაობა საკ. ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე.

კათედრა წინათ ნაკლებად იყო უზრუნველყოფილი კომუნისტური კადრებით. უკანასკნელ წლებში კათედრის ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ზომები მიიღ ამო მდგომარეობის გამოსასწორებლად. დაწინაურებულ ოთხი ახალგაზრდიდან ერთი არის პარტიის წევრი, ერთი კომკავშირელი და ორი უპარტიო. კათედრასთან დატოვებული ამხანაგები უზრუნველყოფილი არიან ხელმძღვანელობით და აქტიურ მონაწილეობას იღებენ კათედრის აკადემიურ და მეცნიერულ მუშაობაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კათედრის ხელმძღვანელის დოც. **ნ. კეცხოველის**, ამხ. **ქ. ცხაკაიას**, და **პ. ცაგარელის** მუშაობა კათედრასთან დატოვებულ ახალი მუშაკების მაღალი მეცნიერული დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს კათედრა სასწავლო რეჟიმის განმტკიცებას, სასწავლო გეგმების და პროგრამების შედგენას. თავის მუშაობაში კათედრა ფართოდ იყენებს შრომის სოციალისტურ მეთოდებს—სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობას.

კათედრამ განიხილა და დაამუშავა სასწავლო რეჟიმისა და სამუშაო დროის შემჭიდროების საკითხი, რომელიც ჯგუფის წარმომადგენლების საშვალებით დაყვანილ იქნა ყველა ჯგუფებამდე. უნდა აღინიშნოს, თოშ კათედრის მიერ ამ მიმართულებით მიღებულმა ღონისძიებებმა უკვე გამოიღო ნაყოფი: მინიმუმამდე დაყვანილია ლექციების გაცდენა სტუდენტების მიერ. სრულიად აღმოფხვრილია ლექციების გაცდენა ლექტორების მხრივ. მეორე სემესტრში მხოლოდ დოც. **ქიქოძეს** აქვს გაცდენილი ორი საათი და ისიც მივლინების გამო (კათედრის დავალებით). ეს დანაკლისი ანაზღაურებული იქნება დამატებითი საათების მიცემით.

ბოტანიკის დისციპლინებში შედგენილი და შემუშავებულია პროგრამები პარტიული კომიტეტის მითითებების საფუძველზე. პროგრამები, მოწონებული სასწავლო ნაწილის მიერ, უკვე გადაცემულია დასაბეჭდათ.

კათედრამ ყურადღების ცენტრში დასვა საწარმოო პრაქტიკის საკითხი. საწარმოო პრაქტიკის პროგრამები შედგენილია. შედგენილია საწარმოო პრაქტიკის ახრჯთ-აღრიცხვა და შერჩეულია პრაქტიკის ადგილები. მიღებულია ყველა ზომები იმისათვის, რომ წლის განმავლობაში გავლილი თეორიული მასალა მჭიდროთ იქნას დაკავშირებული საწარმოს პრაქტიკასთან.

კათედრამ უკანასკნელ ხანებში მოაწყო რამდენიმე საჯარო სხდომა, რომლებზედაც წაკითხული იქნა მეცნიერული ხასიათის მოხსენებები. ამ მოხსენებებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო დოც. ნ. **კეცხოველის** მოხსენება ჯაგ-ეკლიანი ველების წარმოშობის შესახებ, რომელიც აგებული იყო თვით მომხსენებელის მიერ შეკრებილ მეცნიერული ხასიათის მასალაზე.

მიუხედავათ ამისა, რომ კათედრა თავისი თანამშრომლებით არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული წითელ დაფაზე სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლისათვის, კათედრამ მიიღო ზომები სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის კიდევ უფრო გასაშლელად და ამ მიზნით გამოიწვია არაორგანული ქიმიის კათედრა. კათედრის არც ერთი თანამშრომელი არ არის დარჩენილი სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გარეშე. ჩამორჩენილი სტუდენტებისათვის კათედრას დარსებული აქვს სპეციალური ჯგუფები, რომელთაც ხელმძღვანელობენ ასისტენტენები და სხვა უმცროსი სამეცნიერო მუშაკები.



დოც. ნ. კეცხოველი
ბოტანიკის კათედრის ხელმძღვანელი

კათედრა აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში, როგორც უნივერსიტეტში, ისე უნივესიტეტს გარეთ (მუშათა კლუბები, პედაგოგიური კონფერენციები და სხვა.), ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამხ. **ნ. კეცხოველი, ქ. ცხაკაიას** და **პ. ცაგარელის** მუშაობა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საბ. ფაკულტეტის პარტუჯრედის სხდომამ მოისმინა კათედრის გამგის დოც. **ნ. კეცხოველის** მოხსენება, კათედრის მუშაობის შესახებ და მოიწონა იგი სხდომამ სასურველად სცნო, რომ ბოტანიკის კათედრამ თავის გამოცდილება გაუზიაროს სხვა კათედრებს.

საჭიროა კათედრის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რაც შეიძლება უმოკლეს დროში იქნას აღმოფხვრილი ის ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ამ მუშაობას. პირველ რიგში აქ უნდა აღინიშნოს ბინის სივიწროვე. ბოტანიკის სამეცნიერო—საკვლევ კაბინეტში ხშირად იკითხება ლექციები, რის გამო კათედრის თანამშრომლები მოკლებული არიან მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობას. ბინის სივიწროვის გამო თითქმის მთელი საკვლევი მასალა იატაკზე ჰყრია და იფანტება.

შემდეგი საკითხია ახალი კადრების წინ წაწევის საკითხი. კათედრასთან მეშვიდე წელიწადია უმცროს სამეცნიერო თანამშრომლად მუშაობს კომკავშირელი—ამხ. კახაძე. საჭიროა კათედრამ საფუძვლიანად შეისწავლოს მისი მუშაობა და მიიღოს ზომები მის დასაწინაურებლად.

გ. მთვარაძე

## სასადილოს დამკვრელი გამგე

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილო № 235-ის გამგედ არის ამხ. **ილიკო ხომასურიძე**, რომელმაც, 1933 წლის სამოსწავლო დროის დაწყებისთანავე გაშალა მუშაობა სტუდენტთა კვების საქმის გასაუმჯობესებლად: სასადილოს გაუკეთა სათანადო რემონტი, მოამარაგა საჭირო ინვენტარით, უზრუნველჰყო თანამშრომლებით და სხვა. ამხ. **ხომასურიძის** ენერგიულ მუშაობის შედეგად სადილები საუკეთესო ხარისხისაა. სტუდენტთა არც ერთი სასადილოში არ არის მდგომარეობა გაუმჯობესებული ისე, როგორც ჩვენს სასადილოში.

სასადილოზე მიმაგრებულია 900 სტუდენტი და მათთვის თავის დროზე მზადდება მაღალი ხარისხის სადილი.



ამხ. ილიკო ხომასურიძე
სტ—თა სასადილოს № 235 გამგე

ამხ. **ხომასურიძემ** დასვა საკითხის დ[ი]ქტორატის წინაშე, რომლის დასტურით საღამოობით სტუდენტებისათვის მზადდება ვახშამი.

ამხ. **ილიკო ხომასურიძე** ჩაება სასადილოების კონკურსში.

უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასბიურო დარწმუნებულია რომ ამხ. **ხომასურიძე** ფართოეთ გაშლის მუშაობას და



ამხ. ზ. ბენდიანიშვილი
სტ—თა სასადილოს დამკვრელი უმფროსი მზარეული

კონკურსში გათვალისწინებული ვალდებულებებს შეასრულებს გადაჭარბებით.

**ალმასბიუროს სოც-ყოფაცხოვრების და კოოპერატიულ სექტორის გამგე—ქალე შეროზია.**

## მისაბაძი მაგალითი

დოც. დ. ჭავჭანიძე, რომელიც მათემატიკას ასწავლის 1ლ-კურსზე 2 და 3-ჯგუფში მისაბაძ მაგალითებს გვაძლევს.

ჯერ კიდევ 1 სემესტრში მან ჩაატარა 14 დამატებითი საათი, მიამაგრა სუსტი სტუდენტები ძლიერებს და უწევდა მათ კონკრეტიულ ხელმძღვანელობას, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო, მაგრამ ის ამოთ არ დაკმაყოფილებულა. მან მეორე სემესტრის დასაწყისშივე სათანადოთ შეისწავლა სტუდენტები.

დანიშნა ორი დამატებითი საათი ყოველ ექვს დღიურში, რომელსაც ის წესიერათ ატარებს' ხელმძღვანელობს და დახმარებას უწევს საბუქსიროო რგოლებს. მისი მუშაობით ყველა კმაყოფილის.

ლ.—ს.

# კლასობრივმა მტერმა მოკლა დამკვრელი სტუდენტი-სტუდკორი ამხ. ცხადაძე

## უნივერსიტეტის საზოგადოებრივობა მოითხოვს მკვლელის სასტიკად დასჯას

### ამხ. ანდრო ცხადაძის ხსოვნას

20 მარტს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა რიგებს გამოაკლდა საუკეთესო დამკვრელი სტუდენტი ამხ. ანდრო ცხადაძე, რომელიც მოკლა პროლეტარულ სტუდენტთა რიგში შემოპარულმა ანტისაბჭოთა ელემენტმა.

ამხ. ანდრო ცხადაძე დაიბადა 1907 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. სვირში; პირველ-დაწყებითი სწავლა მან მიიღო ამავე სოფლის სკოლაში, 1921 წელს შევიდა ქუთაისის პოპულარულ ტექნიკუმში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1923 წელს, რის შემდეგ მიემგზავრება სოფელში და მუშაობს კულტურულ ფრონტზე, 1924 წლიდან-1927 წლამდე იგი მუშაობს სვირის ქოხსამკითხველოს გამგედ, აწყობს სხვადასხვა წრეებს, რომლებშიაც აბამს შრომელ გლეხობას და ახალგაზრდობას, რითაც დაიმსახურა მასების ავტორიტეტი და სიყვარულს. მისი ენერგიული მუშაობით სვირის სამკითხველო ითვლებოდა სანიმუშოთ. ამავე წლებში იგი აწყობს მშრომელი გლეხობისათვის საღამო წარმოდგენებს და სხვა კულტურულ გასართობებს. ამხ. ა. ცხადაძე სამკითხველოს კედლის გაზეთის გარშემო რაზმავს სოფლის კორესპონდენტებს და თვით სისტემატიურად ათავსებს წერილებს სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხებზე გაზ: „ახ. სოფლის" ფურცლებზე, რითაც დაუნდობლად ამხელს სოფლის კულაკების და ჩარჩ-ვაჭრების ბნელ საქმეებს. ამხ. ანდრო ყოველთვის ითვლებოდა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ახლოს მდგომ აქტიურ პირად და სოფლის კომუნისტებ-კომკავშირებთან ერთად იარაღით ხელში გმირულად იბრძოდა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის წინააღმდეგ.

1927 წელს იგი, როგორც ენერგიული მუშაკი, გადაყვანილი იქნა სვირის სახ. სასამართლოში მდივნის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 1929 წლამდე.

1929 წლიდან იგი მსახურობს ზესტაფონის რაი ბაღბოსტან კავშირში ინსტრუქტორ-ბუღალტერის თანამდებობაზე, მას ამავე დროს მტკიცე კავშირი აქვს სოფ. მეურნეობასთან და 1930 წლის აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფ. მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში; მისი მხურვალე მონაწილეობით სოფ. სვირში ეწყობა კოლმეურნეობა, რომლის აქტიურ წევრად დღემდინ ითვლება მისი ოჯახი.

1931 წელს ამხ. ანდრო ცხადაძე, ზესტაფონის რაი ორგანიზაციების მიერ, როგორც საუკეთესო აქტიური მუშაკი, მოვლინებულ იქნა ტფილისის საბჭ. აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც სწავლობდა საუკეთესოდ და ითვლებოდა პირველ სტუდენტად. მეორე კურსზე გადასვლის შემდეგ, ე. ი. 1932 წ. იგი მიემგზავრება ქ. ლენინგრადში რუსული ენის შესწავლის მიზნით, აქ მან დაჰყო 6 თვეე ხოლო შემდეგ ავათმყოფობის გამო იძულებული შეიქნა დაე-



ანდრო ცხადაძე

ტოვებია ლენინგრადი; 1933 წლის სამოსწავლო წლის დაწყებიდან აგრძელებს სწავლას ტფ. უნივერსიტეტის საბჭ, აღმშ. და სამართლის ფაკულტეტის მეორე კურსზე, სადაც იგი უკანასკნელ დრომდე სწავლობდა და ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო დამკვრელ სტუდენტად, რისთვისაც არა ერთხელ იქნა დაჯილდოებული. იგი ახერხებდა საუკეთესო საზოგადოებრივ მუშაობის შეთავსებას აკადემიურ წარჩინებასთან.

ამხ. ანდრო ვერ ურიგდება სოციალისტური დისციპლინის დამრღვევთ და ყალთაბანდებს რისთვისაც ასეთებს ყოველდღიურად აკრიტიკებდა და მოუწოდებდათ გამოსწორებისაკენ.

ამხ. ა. ცხადაძე იბრძოდა მარქსისტულ თეორიის სიწმინდისათვის და მათ წინააღმდეგ, ვისაც არევ დარევა შექონდათ სასკოლო რეჟიმის განმტკიცების საქმეში, ათავსებდა წერილებს გაზ. „ბოლშევიკურ კადრებისათვის" ფურცლებზე და სწორედ მის მიერ ამავე გაზეთში მოთავსებული წერილი, რომელიც მიმართული იყო ყოვლად უზნეო, დისციპლინის დამრღვევ ჩალიგავას წინააღმდეგ, შეიქნა მიზეზი იმის რომ ანტისაბჭოთა და ზნედაცემულმა ტიპმა ვერაგულად მოჰკლა იგი.

ამხ. ანდრო ცხადაძის ხსოვნა, როგორც საუკეთესო მეგობრის, საზოგადოებრივ მუშაკისა და ბოლშევიკური უნარის მქონე პიროვნების, დაუვიწყარი დარჩება მის უახლოვეს მეგობრებისა და და ტფ. უნივერსიტეტის პროლეტ. სტუდენთა მეხსიერებაში.

ნოე გვენეტაძე.

### საუბარი პროკურორ დევდარიანთან

31 მარტს ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საუბარ ჰქონდა პროკურორ ო. დევდარიანთან ამხ. ანდრო ცხადაძის მკვლელობის საქმეზე.

ამხ. დევდარიანმა განაცხადა შემდეგი: მე გადმომეცა უნივერსიტეტის ორგანიზაციების შუამდგომლობა მკვლელის სასტიკად დასჯის შესახებ. მკვლელობის საქმეს ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით ამჟამად არკვევს სიხლის სამართლის მილიციის სამძებრო ნაწილი. დასაკითხავია რამდენიმე პირი და ამრიგად გამოძიება დამთავრდება არა უგვიანეს 3—4 აპრილისა.

საქ. ცაკის მიერ დაკმაყოფილებულია უნივერსიტეტის ორგანიზაცის შუამდგომლობა მკვლელის საჯაროდ გასამართლების შესახებ სტუდენტთა ქალაქში.

პროცესი უმოკლეს ვადაში შესდგება.

### რას მივაღწიეთ და როგორ

კომკავშირის უნვერსიტეტის კომიტეტმა საქ. ა. ლ. კ. კ.-ას ცეკასა და ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის დადგენილების საფუძველზე დროულად გაშალა წინასწარი სამზადისი შემოდგომა—ზამთრის კომკავშირის პოლიტქსელის მუშაობის წარმატების უზრუნველსაყოფად. ჩამოყალიბებულ იქნა 66 პოლიტსკოლა (ტიპების მიხედვით: ლენინიზმის, მიმდინარე პოლიტიკის წრე და დაწყებითი, მასთან ერთი პოლიტწრე კომკავშირის კომიტეტის და უჯრედის აქტივთათვის), წრეებში სულ გაერთიანებულია 2062 მსმენელი. მათ შორის კომკავშირელი 1426, უპარტიო 636. წრეები თავიდანვე უზრუნველყოფილი იქნა მტკიცე შერჩეულ პროპაგანდისტებით. პროპაგანდისტთა ნაყოფიერი მუშაობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს პარტკაბინეტი, სადაც არსებობს კ. კ.-ს განყოფილება. პარტკაბინეტში სისტემატიურად ტარდება სემინარები და კონსულტაციებისაამისოდ შერჩეულ ამხანაგების საშუალებით. ვერც ერთი პროპაგანდისტი ვერ შევა წრეში წინასწარ სემინარის გავლის გარეშე.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შრომის სოციალისტური ფორმების—სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართედ გაშლას, როგორც წრეში აგრეთვე პროპაგანდისტთა შორის, რამაც უზრუნველჰყო ის სერიოზული წარმატებანი, რომელიც გაგვაჩნია უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაციაში მარქსისტულ—ლენინურ სწავლების ფრონტზე. დღემდე სულ ჩატარებულია 18 მეცადინეობა. აღსანიშნავია კომიტეტის კულტპროპის ამხ. რ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი ს აქტიური მუშაობა. მისი ოპერატიული ხელმძღვანელობით მიმდინარე წელს საერთოდ უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაციაში პოლიტწრეების მეცადინეობის ჩაშლას ადგილი არ ქონია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში წრეების გაერთიანებას. მიღწეულია წრეების მუშაობაში მსმენელთა დაინტერესება, პოლიტინფორმაციების ჩატარება და სხვა, რაც არსებითად ზრდის მსმენელთა აქტივობას პოლიტსკოლებში.

ჩვენ გვყავს საუკეთესო პროპაგანდისტები, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ დაკისრებულ მოვალეობის მრწყინვალეთ შესრულებისათვის. ასეთებია: ამხ. ა. ღლონტი, მ. ჩხენკელი, სიმონია, კორტავა, ბეროძე, კალანდაძე, ლიქორია, ოსიძე და სხვა. მსმენელთა შორის გვყავს მთელი რიგი საუკეთესო ამხანაგები (ნაცვლიშვილი, ტორონჯაძე, არჩავა, გობეჩია, დათუნაშვილი და სხვა) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოლიტსკოლებში საკავშირო კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ გაკეთებული მოხსენების და ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ი ს ა და კ ა გ ა ნ ო ვ ი ჩ ი ს მოხსენებების დამუშავებას. ამ მიზნით უნივერსიტეტის ორგანიზაციაში არსებულ ყველა ტიპის სკოლები გადაყვანილ იქნა მე-17 პარტყრილობის დადგენილებისა და ამხ. სტალინის მოხსენების შემსწავლელ პოლიტსკოლებად.

თვით მე ვხელმძღვანელობ ერთ-ერთ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ პოლიტწრეს, სადაც არ ქონია ადგილი პოლიტმეცადინეობის ჩაშლის არც ერთ შემთხვევას. თავის დროზე ვცხადდები მეცადინეობაზე სათანადო მასალებით, წრეში ფართოდაა გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა დასწრებისა და შეთვისების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. პირადათ მე ჩაბმული ვარ საქ. ა. ლ. კ.-ას ცეკასს მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკანურ კონკურსში. დავამუშავეთ ამხ. სტალინის მოხსენება, მე-17 პარტყრილობის დადგენილებანი და ამხ. მოლოტოვის მოხსენება მე-2 ხუთწლედის ძირითადი ამოცანების შესახებ.

ყოველ მეცადინეობის წინ ვატარებ სათანადო პოლიტინფორმაციას, პოლიტსკოლაში გვყავს საუკეთესო დამკვრელი მსმენელები: ამხ. ბ. სიხარულიძე, გ. ბიწაძე, ი. ნანავა, დ. ვადილია, ვ. ჩაჩანიძე, კატუშა კეკელიძე და სხვა.

საინტერესოა რითი და როგორ მივაღწიეთ ჩვენ ასერთოდ უნივერსიტეტის ორგანიზაციაში აღნიშნულ წარმატებების. ჩვენ მივაღწიეთ ამას შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ გამოყენებით, ჩვენი მუშაობის საუკეთესო მაგალითების პოპულიარიზაციის გზით, პარტიის მტკიცე ლენინური ხელმძღვანელობით, პარტკაბინეტის კ. კ. განყოფილება პროპკოლექტივში სისტემატიურად აწყობდა სემინარებსა და კონსულტაციებს, მოწყობილ იქნა პოლიტბრძოლა, რომლის მიზანი იყო მსმენელთა მიერ მასალის შეთვისებისა და მასალის დამუშავების, პროპაგანდისტის მომზადებისა და თემის დამუშავების ხარისხობრივ მაჩვენებლების შემოწმება, მიღწეულ იქნა დისციპლინის გამტკიცება პოლიტსკოლებში, რითაც მსმენელთა დასწრება აყვანილ იქნა 99,5-100%-დე.

გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს გაცილებით უფრო მეტი უკეთესი მაჩვენებლები გვაქვს უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაციაში. პარტიულმა კომიტეტმა გადასდო 2000 მანეთი დამკვრელ მსმენელთა და პროპაგანდისტთა დასაჯილდოებლად. კ. კ. კომიტეტს განზრახული აქვს ამ უახლოეს დროში ჩაატაროს დამკვრელ პროპაგანდისტთა და მსმენელთა კონფერენცია, რაც კიდევ უფრო ხაზგასმით აღნუსხავს ჩვენს წარმატებებს, რომელიც მოვიპოვეთ პარტიულ კომიტეტისა და კ. კ. რაიონულ კომიტეტის ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობის საფუძველზე.

ვ. ქვარაცხავა

### ღრმად შევისწავლოთ XVII პარტყრ. მასალები

ასპირანტთა მოსამზადებელ კურსებზე პოლიტწრე ახლად ჩამოყალიბებულია. უკვე გვქონდა 4 მეცადინეობა. მეცადინეობის ხელმძღვანელობს ჩვენი კურსელი ამხ. ვ. [illegible]

ჩატარებული მეცადინეობის შემდეგ გავლილი მასალის გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ მასალა ვერ არის შეთვისებული. ეს არვარგა. არ ვარგა იმიტომ, რომ ყველა ჩვენგანი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს ისტორიულ მეჩვიდმეტე პარტყრილობის მასალებს, რომლებიც უნდა



ამხ. კეკელიძე

ფიზიო—მათ. ფაკ.ს პარტორგანიზატორი დაჯილდოებული დამკვრელ. მეორე კონფერენც. მიერ

წარმოადგენდეს მოქმედების და მუშაობის ქვაკუთხედს ყველასათვის, ვინც იბრძვის სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ფართოდ უნდა გავშალოთ შეჯიბრება მეჩვიდმეტე პარტყრილობის მასალების ღრმად შესწავლისთვის. მეცადინეობას პოლიტწრეში უნდა მიექცეს ისეთივე ყურადღება, როგორიც ექცევა ყველა სასწავლო საგნებს.

ვ. ტულუში.

### დისპუტი „სართულების" შესახებ სტუდ. ქალაქში

უნივერსიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციების კულტმასიური მუშაობა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში დღემდე ძლიერ მოისუსტებდა

მდგომარეობის გამოსასწორებლად პირველი ნაბიჯი გადასდგა კომკავშირის კომიტეტმა სტუდენტთა სამეცნიერო სალიტერატურო წრესთან ერთად.

24 მარტს სტუდენტთა ქალაქში მოეწყო დისპუტი პ. ჩხიკვაძის რომანის— „სართულების" გარშემო. დისპუტი დაიწყო ამხ. ტატიშვილის შესავალი სიტყვით, რის შემდეგ „სართულების" შესახებ მოსმენილ იქნა ამხ. ჰილაიას მოხსენება.

დისპუტში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჩავლეიშვილმა, ქვესელავამ, კაშიამ, ჩხენკელმა და სხვა.

განსაკუთრებული ცხოველი ყურადღება გამოიწვია რომანში აღძრულმა საყოფაცხოვრებო საკითხებმა.

დასასრულ შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა რომანის ავტორი პ. ჩხიკვაძე, რომელსეც პროლეტარული სტუდენტობა განსაკუთრებით გულთბილად შეხვდა.

ზ. მენაბდე

## დებულება კათედრის შესახებ

უმაღლესი ტეხნიკური სკოლის კომიტეტის მიერ დამტკიცებ. 1933 წ. 20 მაისს.

**ამოცანები**

კათედრის ამოცანას შეადგენს სწავლების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ერთ ან რამდენიმე მონათესავე დისციპლინაში, სამეცნიერო მუშაკების მომზადება ამ დისციპლინებში და დამუშავება იმ მეცნიერული პრობლემების, რომლებიც გამომდინარეობენ, როგორც სწავლების საჭიროებიდან, ისე სოციალისტური მეურნეობის მოთხოვნილებებიდან.

**II. მუშაობის ფარგლები.**

კათედრის ამოცანებთან შეფარდებით მის მუშაობის ფარგლებში შედის:

ა) სტუდენტთა და ასპირანტთა სწავლების საერთო ხელმძღვანელობა, თვალყურის დევნება მათი აკადემიური წარმატებისათვის, ზომების მიღება უკანასკნელის ამაღლებისათვის და აგრეთვე კონტროლისა და უშუალო მეთვალყურეობის გაწევა კათედრის ყველა თანამშრომლების სამეცნიერო—პედაგოგიური მუშაობისათვის;

ბ) სასწავლო პროგრამების და სწავლების მეთოდების დამუშავება როგორც თეორიული მეცადინეობის, ისე საწარმოო პრაქტიკის დარგში;

გ) არსებული სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა და რეცენზია, აგრეთვე სწავლებისათვის საჭირო ახალი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების დამოუკიდებლად დამუშავება;

დ) კათედრის სამეცნიერო და სასწავლო—დამხმარე დაწესებულებების სამეცნიერო—მეთოდიური ხელმძღვანელობა და ღონისძიებების გატარება მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

ე) კათედრის სამეცნიერო—კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია და ზომების მიღება მისი შედეგების დანერგვისათვის სწავლებასა და წარმოებაში;

ვ) კათედრისათვის საჭირო სამეცნიერო—პედაგოგიური პერსონალის შერჩევა, კათედრის სამეცნიერო მუშაკთა მეცნიერული შრომების განხილვა და კვალიფიკაცია და ღონისძიებების განხორციელება მათი სამეცნიერო და პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ზ) ასპირანტებათ ჩასარიცხავათ და მეცნიერული წოდებისა და ხარისხის მოსაპოვებლად წამოყენებულ კანდიდატურების შეფასება და აგრეთვე ამგვარ კანდიდატურების დამოუკიდებლად წამოყენება;

თ) მონაწილეობის მიღება მუშების და ტეხნიკური პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში და აგრეთვე სამეცნიერო—ტეხნიკური ცოდნის ფართო პროპაგანდა მშრომელთა ფართო მასებში;

**III. კათედრის ორგანიზაცია.**

1. კათედრის საერთო ორგანიზაცია, მისი შემადგენლობა, ხელმძღვანელობის სისტემა და კათედრის სამეცნიერო—პედაგოგიური პერსონალის გადაყენების წესი დადგენილია საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის ტიპიური წესდებით და მთავრობის სხვა საკანონმდებლო განკარგულებებით.

2. იმის და მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს ამა თუ იმ სასწავლებელში იმ ძირითად დისციპლინას, რომელსაც კათედრა წარმოადგენს, უკანასკნელი შეძლება იყოს:

ა) **საერთო საინსტიტუტო** იმ შემთხვევაში, თუ მთავარ დისციპლინებს, რომელთაც კათედრა აერთიანებს, ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ უმაღლესი ან უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის ყველა ფაკულტეტებისათვის ან ფაკულტეტების უმრავლესობისათვის;

ბ) **საფაკულტეტო,** იმ შემთხვევაში, როცა მასში გაერთიანებულ ძირითად დისციპლინებს აქვთ უპირატესი მნიშვნელობა ერთერი ფაკულტეტისათვის' რომლის შემადგენლობაშიც მას მოაქცევენ;

საერთო ინსტიტუტის კათედრები იმყოფება უმაღლესი ან უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის სამოსწავლო ნაწილის გამგის უშუალო გამგებლობაში, საფაკულტეტო კათედრები კი სათანადო ფაკულტეტის დეკანის გამგებლობაში.

**შენიშვნა:** განსაზღვრა იმის—საერთო ინსტიტუტის, თუ საფაკულტეტო მნიშვნელობა აქვს კათედრას, ხდება უმაღლეს ან უმაღლეს ტეხნიკური სასწავლებლის სასწავლო გეგმის დამტკიცების დროს.

3. კათედრის სამეცნიერო—პედაგიური პერსონალის მუშაობა, კათედრის გამგის საერთო ერთპიროვნული ხელმძღვანელობითა და პერსონალური პასუხის მგებლობით, შემდეგნაირად ნაწილდება კათედრის პროფესორებსა, დოცენტებსა და ასისტენტებს შორის:

ა) პროფესორები კათედრის ხელმძღვანელის **დანიშვნით** დამოუკიდებლად ატარებენ კურსს და ამ კურსის მიხედვით ხელმძღვანელობენ დოცენტებისა და ასისტენტების მუშაობას; პროფესორები იმ კურსის მიხედვით, რომელსაც ატარებენ, აწყობენ და თვი-თონ აწარმოებენ სამეცნიერო—კვლევითი მუშაობას და სამეცნიერო კადრების მომზადებას;

ბ) დოცენტები კათედრის გამგის ან კათედრის ერთ-ერთი პროფესორის უშუალო ხელმძღვანელობით ატარებენ დამოუკიდებელ კურსებს ან ძირითადი დისციპლინის ცალკე ნაწილებს და აგრეთვე წარმოადგენენ კურსობრივი პროექტირების ჯგუფობრივ ხელმძღვანელობს სტუდენტების ჯგუფურ და ლაბორატორიულ მუშაობის დარგში კათედრის სამეცნიერო—კვლევითი მუშაობის საერთო გეგმის საფუძველზე დოცენტები აწარმოებენ ცალკე ძირითადი პრობლემების დამოუკიდებლად დამუშავებას და ცალკე თემების მიხედვით ხელმძღვანელობენ ასპირანტთა მუშაობას;

გ) ასისტენტები პროფესორებისა და დოცენტების მეთვალყურეობით ხელმძღვანელობენ სტუდენტთა მეცადინეობას და ლაბორატორულ მუშაობის და მონაწილეობის იღებენ კათედრის სამეცნიერო კვლევითი მუშაობაში.

4. კათედრის სამეცნიერო—მატერიალურ ბაზას წმრმოადგენენ სათანადო ლაბარატორიები, კაბინეტები, სახელოსნოები, სამოსწავლო მეურნეობანი და სხვა სამეცნიერო და სასწავლო—დამხმარე დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის ტიპიური წესდების და მათი მუშაობის მომწესრიგებელ იმ სპეციალური დებულებების და ინსტრუქციების საფუძველზე, რომლებიც მტკიცდება ამა თუ იმ სასწავლებლის წესდებით გათვალისწინებული წესით.

**IV. კათედრის მუშაობის მეთოდები.**

1. კათედრის მუშაობას საფუძვლად უდევს კათედრის ყველა თანამშრომლებისათვის სავალდებულო სამეცნიერო—კვლევითი მუშაობა, მისი თითეული თია ნამშრომლის სრული პასუხისმგებლობმისთვის დაკისრებული მუშაობის უბნისათვის და ყოველდღიური კონტროლი მასზე კათედრის გამგის მხრივ.

2. კათედრის მუშაობისათვის სათანადო ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული უნდა იქნას შემდეგი ღონისძიებები:

ა) კათედრის ხელმძღვანელის სისტემატიური დასწრება ყველა მასწავლებლების მეცადინეობაზე;

ბ) კათედრის პლენარულ სხდომებზე პერიოდულად სამეცნიერო მუშაკთა მოხსენებების დასმა მათი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

გ) კათედრის თანამშრომელთა სამეცნიერო შრომების განხილვა და რეცენზია კათედრის ხელმძღვანელის მიერ;

დ) კათედრის თანამშრომელთა და ასპირანტთა საამეცნიერო ხასიათის საჯარო მოხსენების მოწყობა.

3. კათედრის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ა) კათედრის გამგის და ცალკე პროფესორების საინსტრუქციო მოხსენებების მოწყობა სწავლებისა და მეცნიერული გამოკვლევების მეთოდიკის შესახებ;

ბ) კათედრის სამეცნიერო მუშაკებისათვის წრეებისა და სემინარების მოწყობა იმ ცალკე პრობლემების ღრმად შესწავლის მიზნით, რომლებიც გამომდინარეობენ სწავლების და სამეცნიერო მუშაობის საჭიროებებიდან;

გ) კათედრის პლენარულ სხდომებზე სისტემატიურად დასმა მოხსენებებისა მეცნიერებისა და ტეხნიკის უახლესი მიღწევების შესახებ.

**V. სამეურნეო—ფინანსიური საქმიანობა.**

კათედრის სამეურნეო—ფინანსიური საქმიანობა წესრიგდება ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის წესდებით და სათანადო კომისარიატის სპეციალური ინსტრუქციებით.

შენიშვნა:

**ვათავსებ რა დებულებას კათედრების შესახებ, რედაცქია მოელის გამოხმაურებას კათედრების გამგეების და ყველა დაინტერესებული ამხანაგების მხრივ. ჩვენი გაზეთის რედაქცია ფართო ადგილს დაუთმობს ყველა წერილებს და შენიშვნებს, რომლებშიაც გაშუქებული იქნება საკითხი—თუ რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს, რომ ჩვენი კათედრების მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ**

# მეტაფიზიკის წინააღმდეგ გენეტიკაში

ა/წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში ფრიად საინტერესო დისპუტი გაიმართა. მოსკოვიდან ახლად ჩამოსულმა ამხანაგმა-დოც. კ. ანდრიაძემ გააკეთა საჯარო მოხსენება თემაზე: **„მეტაფიზიკის წინააღმდეგ გენეტიკაში"**. მთელი კლუბი გაჭედილი იყო პროფესორ-ლექტორებით და პროლეტარული სტუდენტობით.

ჩვენი ეპოქის უმშვენიერესი დოკუმენტი—ამხ. სტალინის სიტყვა მე-17 პარტ. ყრილობაზე—განაცხადა მომხსენებელმა—იძლევა ნათელ პერსპექტივას და მუშაობის გეზს ჩვენი ბრძოლისა და აღმშენებლობის ყოველ დარგისათვის. დღეს მეცნიერების მუშაკებისათვის გასაგები უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვების აუცილებლობა მეცნიერული კვლევა-ძიების დროს. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკა იძლევა ბუნების და საზოგადოების გასაღებს. მათ შესაცნობად და გარდასაქმნელად ამ რევოლიუციონური მეთოლოგიის გარეშე შეუძლებელია წინსვლა, რადგან მეტაფიზიკური აზროვნება მოასწავებს არა მარტო სულიერ მონობას და აზრის სიზარმაცეს—არამედ ცხოვრებისაგან მოწყვეტას და გაუმართლებელ გონებითი ჭვრეტას. ამიტომ ჩვენი ამოცანაა—ბრძოლა მეტაფიზიკის წინააღმდეგ მეცნიერებაში. ერთ ერთ საგრძნობლად ჩამორჩენილ ფრონტს საქართველოში წარმოადგენს საბუნებისმეტყველო ფრონტი საერთოდ და კერძოთ **გენეტიკა**—მეცნიერება ცვალებადობისა და მემკვიდრეობის შესახებ. ამიტომ გენეტიკის გადაყვანა დიალექტიკური მატერიალიზმის რელსებზე სადღეისო გადაუდებელი ამოცანაა, რომ საბოლოოდ განადგურდეს ის რეაქციონური მიმართულება, რომელიც დღემდის ბოგინობს გენეტიკაში.

სანამ ფაქტებს ავამეტყველებდეთ,-ამბობს მომხსენებელი,—საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანია საქმის გამოსწორება და არა პიროვნების დამცირება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გენეტიკის კათედრის ხელმძღვანელი პროფ. **ალლაძის** მოღვაწეობა. უნდა პირდაპირ განვაცხადო, რომ ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება დასტოვა იმ რამოდენიმე წიგნის გადათვალიერებამ,-რომლებიც თარგმნილია გენეტიკის კათედრის გერმანული ენიდან და რომელსაც წინასიტყვაობები უკისრია პროფ. **ალალაძეს**. [illegible]

ქტიურ ევოლუციონურ თეორიაზე ხელს ავიღებდეთო" და სხვა...

გენეტიკოსი **ალალაძე** იცავს გენთა კონსტანტობას, მაშინ, როცა ექსპერიმენტულად დამტკიცებულია მათი ცვალებადობა. მისი აზრით გენი არის უცვლელი, მყარი. მაშ ვის შეუძლია კარგი თაობა მოგვცეს ჩვენ?-ბურჟუაზიას და არაპროლეტარიატს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს პროფ. **ალალაძის** თვალსაზრისიდან.

ამრიგად პროფ. **ალალაძე** შეგნებულად თუ შეუგნებლად—ამ შემთხვევაში ეს სულერთია—ფაშიზმის წისქვილზე ასხამს წყალს. მის მიერ შედგენილი გენეტიკის პროგრამა სრულიად აპოლიტიკური და არა მეცნიერულია. იგი მოწყვეტილია მეცხოველეობის აქტურალურ საკითხებს. ცნობილია გენეტიკის როლი ცხოველთა და მცენარეთა მომშენებლობის დარგებისათვის. ამხ. **სტალინმა** მიგვითითა ჩვენ მე-17 პარტყრილობაზე, რომ მეცხოველეობის საკითხი ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ.

გენეტიკა ისწავლება **„на честное слово"** არავითარი ცდები. არავითარი პრაქტიკუმი მას არ ახლავს და სხვა...

კათედრა რამოდენიმე წელწადია არსებობს და მას ვერ მოუხერხებია შეედგინა ან თუნდაც გადმოეთარგმნა და გამოეცა გენეტიკის სახელმძღვანელო. ეს მდგომარეობა დაუყონებლივ უნდა გამოსწორდეს.

კამათში გამოსული სტუდენტები ადასტურებდენ გენეტიკის ჩამორჩენის ფაქტს. კამათში გამოსული კათედრის თანამშრომელნი შეთანხმებულად იმეორებდენ. რომ შეცდომა არ გვაქვს და ამას „თვით" ალალაძეც იტყვისო.

**ალლაძე**. შეეცადა ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, თითქოს იგი „აბრამის ბატკანია". მუშაობს თავდაბლად. შეიძლება წინასიტყვაობაში არ იყოს აზრები წესიერად დალაგებული, მაგრამ იგი მაინც მართალია. იგი „არ იზიარებს" გენთა კონსტანტობას. ერთ გვერდზე თუ ვიცავ, მეორე გვერდზე საწინააღმდეგო აზრიც შეიძლება გამოიტანოთ და სხვა. ალლაძის გამოსვლა ტიპიური „დვურუშნიკული" გამოსვლა იყო. ასეთივე იყო მისი კათედრის თანამშრომლების გამოსვლა. დისპუტმა ორი დღე გასტანა. კამათში გამოსული ამხანაგები ააშკარავებდნენ ალ- [illegible]

დამსწრე

# ვიბრძვით მე-17 პარტ. ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციისათვის

სახ. უნივერსიტეტის ისტ.-ლიტ. ფაკულტეტის პარტ. ორგანიზაციამ თავიდანვე სათანადო სერიოზულობით მოეკიდა მე-17 პარტ. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლას და მის საფუძველზე მუშაობის ახალ მიმართულებით წარმართვას.

15 მარტს შესდგა პარტ. ორგანიზაციის კ. კ. აქტივთან გაერთიანებული დახურულ კრება, რომელზედაც დამუშავდა ს. კ. პ. (ბ) წესდება. მე-17 პარტ. ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტ. ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტ. კომიტეტის მდივანი ამხ. სევ. მინდაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა წარსულ მუშაობის ნაკლოვანებებს: ფუნქციონალობას, კანცელიარშჩინის და საქმისადმი ბიუროკრატიული მიმდგომის ელემენტებს და [illegible] ბულ-იქნა უჯრედის ბიურო და პარტ. ორგანიზატორად არჩეულ იქნა ამხ. **შ. კალანდარაშვილი**.

ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს უკეთესად ახალ მეთოდებით.

გაიზარდა პერსონალურ პასუხისმგებლობა თითეული პარტ. წევრ-კანდიდატისა-ორგანიზაციული დავალებების შესრულებაში. თითეულმა პარტ. წევრ-კანდიდატმა ვალდებულებად აიღო მუშაობის გაძლიერებული ტერპებით უზრუნველჰყოს მე-17 პარტ. ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია მუშაობის ყოველ დარგში, ყოველი საკითხის დროულად გადაჭრაში.

ნინა ბერაია

# რა კეთდება სახუნტის მუშფაკში.

უნივერსტეტის მუშფაკს ორი წლის არსებობის ისტორია აქვს. მუშფაკში ირიცხება 800 მსმენელი. არსებობს დილა-საღამოს ცვლა.

მუშფაკის ადმინისტრაციის მტკიცე ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ამხ. ჩოდრიშვილი და ადგილობრივი პარტ. კომკავშირის და პროფორგანიზაციეაის აქტიური მუშაობით მიღწეულია ძირითადი გარდატეხა მუშფაკის მუშაობაში. მუშფაკის მთელი კოლექტივი იბრძვის საკავშირო ცაკის 19-სექტემბრის და კომპარტის ცკას 5-სექტემბრის დადგენილების ბოლშევიკური რეალიზაციიიათვის, რომელიც ეხება მოწაფეთა აკადემიური მაღალ ხარისხიანობისათვის ბრძოლას, სასკოლო რეჟიმის განმტკიცებას, რაც საფუძველია აკადემიური ფრონტზე ძირითად გარდატეხის მიღწევის.

უნდა ითქვას, რომ მეორე სემესტრი პირველთან შერარებით თავისი ნაყოფიერი შედეგებით, წარმოადგენს ნაბიჯს წინ მუშფაკის ზრდის და განმტკიცების საქმეში, რაც გამოიხატებს შემდეგში; პირველ მეოთხედში (ნოემბერი-დეკემბერი) დილის ცვლაში აკადემიურ წარმატების ფრონტზე გვქონდა შემდეგი მაჩვენებლები: საშუალოთ ყველა საგნებში ასწრობს 55, 1 პროც. საღამოს ცვლაში საშუალოდ ყველა საგნებში ასწრობს 38,. 7 პროც. მეორე მეოთხედში (იანვრის თვისათვის), დამკვრელი ერთთვიურის გამოცხადების შემდეგი, გვაქვს შემდეგი მიღწევები: მეორე მეოთხედში საშუალოდ ყველა საგნებში (თებერვალი) ასწრობს 66, 3 პროც. (დილის ცვლა). საღამოს ცვლაში საშუალოდ ყველა საგნებში ასწრობს 55, 6 პროც. 38, 7 პროც. ნაცვლად სასწავლო დარგში გვაქვს შემდეგი მიღწევები: შედგენილია პროგრამები და ამ პროგრამების საფუძველზე სამუშაო გეგმები, რომელიც დაყვანილია თვითეულ მსმენელამდე, საგრძნობლად გაუმჯობესებულია მეთოდ ბიუროზე ხელმძღვანელობა. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საქ. კ. პ. (ბ) ცკას და განსახკომის დადგენილების საფუძველზე რუსული ენის სწავლების მაღალ საფეხურზე აყვანის საქმეს, გადიდებულია რუსული ენის საათები, მეორე სემესტრის შედეგებმა გვიჩვენა, რომ აკადემიურ ფრონტზე გვყავს საუკეთესო დამკვრელი ლექტორები, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს და იბრძვიან იმისათვის, რომ განამტკიცონ სასკოლო რეჟიმი და ბოლშევიკურად აღზარდონ მთმავალი თაობა, ასეთები არიან: **ხელაძე, მოსეშვილი, გორდაძე‘ ბაშალეიშვილი, დეკანოზიშვილი, მჭედლიშვილი ნინო, მირიანაშვილი ვასილი, ანდრონიკაშვილი, ნათაძე და სხვ. გვყავს** ლექტორები რომლებიც გეგმებს ასრულებენ 100 პროცენტით, როგორც, მაგალითად, **პაიჭაძე, მირიანაშვილი ნინო, რაზმაძე, ხალვაში, სვანიძე, გელაძე, კაკასიძე შთრა, ცხაკაია და სხვა,** გვყავს აგრეთვე დამკვრელი სტუდენტებიც, რომლებიც 100 პრო. ასრულებენ გეგმებს **შემდეგია, კვიტია, ტუხაშვილი, კუპავა,** ცერცვაძე, **ჩხეტია, მიქატაძე, ჩადუნელი, და სხვა.**

მოწაფეები საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფიალია. საერთო საცხოვრებლებში გაუმჯობესებულუა საცხოვრებელი პირობები. საერთო საცხოვრებლები უზრუნველყოფილია სათბობი მასალით, უნდა ავღნიშნოთ აგრეთვე ნაკლიც რაც გამოიხატებ შემდეგში: დაქსასულია საერთო საცხოვრებლები, რაც ხელს უშლის და უარყოფით დაღს ასვამს აკადემიურ მაღალხარისხიანობისათვის ბრძოლის საქმეს.

სათანადო სიმაღლეზე დგას მუშფაკში კულტურულ-მასობრივი მუშაობის საქმეც, ხშირად ეწყობა კოლექტიური სვლა კინო-თეატრებში, ეწყობა ლექციები, ლიტერატურული გასამართლებები, ამ ბოლო ხანებში გაიხსნა სამკითხველო, გამოდის ადგილობრივად კედლის გაზეთი.

მოწაფეები უზრუნველყოფილია სასადილოთი, დილით ცხელი საუზმით, გახსნილია ფეხსაცმელების შემკეთებული სახელოსნო, საპარიკმახერო, დახურული განმანაწილებელი კოპწერტი, მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ კვების საქმეში გვაქვს ნაკლი, ხშირია შემთხვევა, რომ ადგილობრივ ბუფეტში ადგილი აქვს მოწაფეთა კუთვნილ პურის და ჩაის გაყიდვას კომერციულ ფასებში. აგრეთვე ადგილი აქვს სასადილოში სადილის ფასების ცვალებადობას ლობიო იყიდება მანეთად, იმ დროს, როდესაც ხორციანი სადილი ღირს სამი აბაზი და სხვა, რასაც დროულად უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება

ი. ბოლქვაძე

# ჩამორჩენას არ დაუშვებთ

**(ეკ. ფაკ. საგეგმო სექციის კურსის № 3 ჯგუფი)**

უმაღლესი სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებასთან დაკავშირებით ჩვენმა ჯგუფმა მიიღო მთელი რიგი ვალდებულებები, რომელთაც შესასრულებლად გაშლილია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია ჯგუფის მთელი შემადგენლობა, დამკვრელობაში ჯგუფის—70 პროც.

გეგმების შესრულებისათვის და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბძოლის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა დოც. დ. ჭავჭანიძე, რომელმაც ჯგუფთან დასდო ხელშეკრულება შესასწავლი მასალის ღრმად დამუშავების შესახებ.

მიღებულია ზომები, რრმ მეორე სემესტრში ადგილი არ ექნეს არავითარ ჩამორჩენას. ლექციების გამცდენ სტუდენტთა მიმართ ჯგუფი ღებულობს საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომებს.

ზ. ჭანტურიძე

# საბჭ. კავშირის თავდაცვის განმტკიცებისათვის

**თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს,**
**ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს,**
**საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტს.**
**„ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას.**

**ვოროშილოვის სახელობის ესტაფეტას აქვს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც ისეთ ღონისძიებას, რომელიც მოწოდებულია მშრომელთა ფართო მასებში გამოიწვიოს ენტუზიაზმის ახალი ტალღა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის საქმეში. ტფილისის უნივერსიტეტის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციას ვოროშილოვისეულ ესტაფეტასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით, კომკავშირისა და პროფორგანიზაციების აქტიური დახმარებით, თავდაცვა-ავიაქიმის ორჯონიკიძის რაიკომის მითითებათა განუხრელად გატარების საფუძველზე აქვს შემდეგი მიღწევები:**

**1. ვადაზე ადრე გავანაღდეთ თავდაცვა-ავიაქიმის მერვე საკავშირო ლატარიის ბილეთები—სულ 3.000 მანეთის.**

**2. ჩვენს ორგანიზაციაში ჩაბმულია 725 კაცი.**

**3. საწევრო ანარიცხები აკრეფილია მთლიანად და გადარიცხულია რაიონულ საბჭოში.**

**4. სტუდენტთა ქალაქში მოვაწყვეთ თავდაცვა-ავიაქიმის კუთხე.**

**5. მოვაწყვეთ ერთი დახურული ტირი.**

**6. აქტიურ მანაწილეობას ვიღებთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის თვითმფრინავის ასაგებად თანხების შეგროვებაში.**

**7. თავდაცვითი მუშაობის გასაძლიერებლად მჭიდრო კავშირი-გვაქვს დამყარებული სამხედრო ნაწილებთან.**

**8. ჩამოვაყალიბეთ 6 სხვადასხვა სამხედრო წრე, რომლებშიაც ჩაბმულია 535 კაცი.**

**9. მიმდინარეობს მუშაობა 1500 კაცის სამხედრო-ქიმიური უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.**

**10. სწარმოებს ვოროშილოვისებური მსროლელების მომზადება, ამ საქმეში ჩაბმული გვყავს 65 ვაჟი და 25 ქალი-სტუდენტი.**

**ვიძლევით მტკიცე დაპირებას, რომ მომავალში კიდევ უფრო გავშლით ბრძოლას ჩვენ მუშაობის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.**

უნივერსიტეტის თ/ა კომიტეტის თავმჯდომარე: ტატიშვილი
უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. კომიტეტის პ/მდ. : ვაჭარაძე
„ „ ა. ლ. კ. კ. კომიტეტის
სამხ. განყ. გამგე: ფრუიძე

# საგაზაფხულო თესვის მოწინავე პოზიციებზე

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და კ. კ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის დადგენილების საფუძველზე ტფილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა გაშალა მოშაობა 1934 წ. საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის და ამ ამოცანის გარშემო მჭიდროთ დარაზმა უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის 2000 წევრი.

15 თებერვალს უნივერსიტეტის ორგანიზაციაში ჩატარებული იქნა ერთიანი კომკავშირული დღე და დამუშავდა 1934 წ. საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებაში კ. კ. ამოცანების საკითხი. კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ძირეულმა უჯრედებმა მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებანი საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით: ბრიგადების მივლინება ადგილებზე მასიურ კულტურული მომსახურეობის გაწევა კოლმეურნეობებისათვის და საშეფო სოფლებისათვის და სხვა.

აღნიშნული მუშაობა მტკიცედ დაკავშირებულია ძირეული უჯრედების მიერ საკ. კ. პ. (ბ) მე-17-ტე პარტყრილობის მოწვევასთან და საკ. ა. ლ. კ. კ. 15-წლის თავთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებათა რეალიზაციის მიმდინარეობასთან. საკავშირო დღეს მიღებული იქნა ვალდებულებანი, რომ კოლმეურნეობებში მასიურ კულტურული მომსახურეობის ფართედ გაშლასთან ერთად გაიშალოს აგრო-ტეხნიკურ ღონისძიებათა პოპულიარიზაცია. ამ მიზნით კ. კ. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის კომიტეტმა გამოჰყო ბრიგადა 14 კომკავშირლის შემადგენლობით ადგილებზე გასაგზავნათ ათი დღის ვადით, საშეფოდ აყვანილი სოფელს და კოლმეურნეობებს ერთი წლით გამოუწერთ 50 ცალი გაზეთ „ახ. კომ.", 40 ცალი „კომუნისტს" და 45 ცალი გაზეთ „კოლექტივიზაციას", შეგროვილია 1500 ცალი სასოფლო სამეურნეო ხასიათის ბროშურა და წიგნი, 1330 ცალი რვეული, 206 ცალი სამელნე, 2100 კალამი და 1690 ცალი ფანქარი საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლების საჭიროებისათვის.

თესვის კამპანიის მიმდინარეობის განმავლობაში ადგილებზე სპეციალურ ბრიგადების მივლინებით უზრუნველჰყოფთ საველე კედლის გაზეთების გამოცემას და მასიური კულტურული მუშაობის ფართედ გაშლას.

ვ. ძ—ვა.

# კიდევ უფრო განვამტკიცოთ დისციპლინა

**ეკონომიური ფაკ. სააღრიცხვო სექციის 14 ჯგუფი** ბოლშევიკურად დაირაზმა სასწავლო გეგმების შესრულებისათვის. მნიშვნელოვანი გარდატეხაა მომხდარი გაცდენების შემცირების მხრივ.

სამუშაო დროის შემჭიდროებისათვის ბრძოლის გაშლამ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა.

მაგრამ მიღწეული შედეგებით ვერ დავკმაყოფილდებით. ის გარემოება, რომ პირველიდან 25 მარტამდე ჯგუფს გაცდენილი აქვს 25 საათი, ავალებს ჯგუფის სამკუთხედს კიდევ უფრო გაშალოს ბრძოლა დისცპლინის განმტკიცებისათვის.

შემდეგ, საუკეთესო კონსპექტის შედგენისათვის გამოცხადებულ კონკურსში ჯგუფიდან ჩაბმულია მხოლოდ 3 კაციეს არ კმარა. საჭიროა უფრო ფართო მონაწილეობა კონკურსში.

ჯგუფში ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. სერიოზულ ყურადღება ექცევა შეჯიბრების პირობების შესრულების შემოწმების. სოცშეჯიბრებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის ორი სტუდენტი წარდგენილია შავ დაფაზე გამოსაცხადებლად.

ნ, დ—ლი

**სარედაქციო კოლეგია**

ტფილისის სახ. უნივერ. ტიპო-ლითოგრაფია შეკვ. № 15 მთავლიტი № 404 ტირაჟი 3100.